Tamar Alpaidze, Ph.D

[redacted]

თამარ ალფაიძე,

სამართლის დოქტორი, პროფესორი

- თამარ ალფაიძემ წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ასპირანტურა კონსტიტუციური სამართლის სპეციალობით. 2006 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე "მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები" და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხი / სამართლის დოქტორი.
- 2008 წელს პირველად საქართველოში მან გამოსცა სახელმძღვანელო "მედია სამართალი", რითაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა სამართლის ახალ დამოუკიდებელ დარგს.
- 2009 წელს დაიბეჭდა მისი სახელმძღვანელო "შესავალი სამართალმცოდნეობაში" - კომპლექსური მეცნიერული კვლევა სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენათა არსისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.
- თამარ ალფაიძე არის მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი. ფართოა მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო: სამართალმცოდნეობის ფუნდამენტური ცნებებისა და კატეგორიების კვლევა, კონსტიტუციონალიზმის პრობლემები, მედია-კომუნიკაციების სამართალი, სამართლის თანამედროვე კონცეფციების ანალიზი და სხვა.
- 2001 წლიდან იგი ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. იგი ლექციებს კითხულობდა და კითხულობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ქართული უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (უნგრეთი), საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ და სხვ.
- თამარ ალფაიძე ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.
- 2013 წელს გაიარა The Universite Catholique de Louvain დისტანციური სასწავლო კურსი "ადამიანის საერთაშორისო უფლებები"
- 2014 წელს წარმატებით დაასრულა Harvard University-ის იურისპრუდენციის სპეციალური კურსები სამართლის სხვადასხვა მიმართულებით: "Justice", „International Human Rights " „Leaders of Learning"
- 2015 წელს მეორედ გამოიცა განახლებული სახელმძღვანელო "სამართალმცოდნეობის შესავალი", რომელიც 2021 წელს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს ეროვნულ პრემიაზე
- ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებს